ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო–საბიუჯეტო კომისია

ოქმი N3

27.03.2024 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თემური დუნდუა
სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თორნიკე კირთაძე
[redacted]
ბექა მორჩილაძე
[redacted]

ასევე ესწრებოდა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების
სამსახურის უფროსი ვასილ თოდუა

მოისმინეს: "ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომის დღის წესრიგის შესახებ".

მომხს. თემური დუნდუა

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის №9/12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის IV კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ".
3. ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 2 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე.

მოისმინეს: 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის ვასილ თოდუას მოხსენება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ფოთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის №9/12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. თემური დუნდუას მოხსენება დადგენილების პროექტის „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 აპრილის №9/12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ, [redacted]

დაადგინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ეთანხმება წარმოდგენილ პროექტს და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

მომხრე _ 9 წინააღმდეგი _ 0

მოისმინეს: განკარგულების პროექტი „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის IV კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“.

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ, [redacted].

დაადგინეს: 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ექსპერტ-სპეციალისტის მიერ შესწავლილი საკითხი - „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის IV კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და საფინანსო დოკუმენტაციის შესწავლის აქტები მიღებულ იქნას ცნობად, თანახმად დანართებისა.

2. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ბექა ვაჭარაძე) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ.“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაატაროს ქმედითი ღონისძიებები ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ზოგიერთი ორგანიზაცია-დაწესებულების ბალანსზე რიცხული დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შემცირება-აღმოფხვრისთვის და გაწეული მუშაობის შესახებ აცნობოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აპრილამდე.

3. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის IV კვარტლის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვისთვის გაწეული მუშაობა ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე _ 7 წინააღმდეგი _ 2

მოისმინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 2 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“

აზრი გამოთქვეს: თ. დუნდუამ.

დაადგინეს: თემური დუნდუას ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 2 თვის შემოსულობების შესრულებისა და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობის შესახებ“ და ინფორმაცია „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 2 თვის ანგარიშგება საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ გადახდებზე“ ცნობად იქნას მიღებული.

მომხრე _ 9 წინააღმდეგი _ 0

კომისიის თავმჯდომარე თ. თემური დუნდუა